„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

„11" „[illegible]" 2013 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის ვაჟებში

თბილისი

2013

23 – 24 თებერვალი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი ძიუდოისტები, ძიუდოს რეგიონალური ფედერაციებისათვის გამოყოფილი კვოტების შესაბამისად, წარმოდგენილი წინასწარი განაცხადების მიხედვით (კვოტები თან ერთვის – დანართი 1).

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა აკრედიტაცია და განაცხადების მიღება იწარმოებს 2013 წლის 22 თებერვლის 16.00-საათამდე. კენჭისყრა დაიწყება 22 თებერვლის 19.00 საათზე საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ოფისში (ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. 5). აკრედიტაციის გავლა ასევე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტში, ფოსტით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით.

შენიშვნა: აკრედიტაციის გავლის გარეშე სპორტსმენები კენჭისყრაზე და შესაბამისად შეჯიბრზე არ დაიშვებიან !!!

- შეჯიბრი ჩატარდება 2013 წლის 23-24 თებერვალს ქ.თბილისში, ბელიაშვილის №5
- ჩამოსვლის დღე თბილისში 22 თებევრალს. წასვლა 24 თებერვალს.

- შეჯიბრების დასაწყისი 11.00 საათზე

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში: 50 კგ; 55კგ; 60 კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; +90კგ

აწონვა: თბილისში

22 თებერვალს თბილისში, ბელიაშვილის №5-ში
50 კგ; 55კგ; 60 კგ; 66 კგ;
არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

23 თებერვალს, თბილისში, ბელიაშვილის №5-ში
73კგ; 81კგ; 90 კგ; +90კგ
არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

- შეჯიბრზე მონაწილეები დაიშვებიან მხოლოდ პირადობის მოწმობის (ორიგინალი) წარმოდგენის შემდეგ.

VI. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება) უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 52 82 05;

მობ. +995 595 21 25 23 – გიორგი ათაბეგაშვილი

ელექტრონული მისამართი: **geojudo@yahoo.com**

საკონტაქტო პირი – გიორგი რევაზიშვილი 577 52 45 45

დანართი 1

რეგიონებისათვის თითოეულ წონით კატეგორიაში გამოყოფილი კვოტები ვაჟთა შორის

№	რეგიონი	კვოტა თითოეულ წონით კატეგორიაში	კვოტა სულ 8 წონით კატეგორიაში
1.	თბილისი	4	32
2.	კახეთი	4	32
3.	იმერეთი	4	32
4.	შიდა ქართლი	4	32
5.	ქვემო ქართლი	4	32
6.	სამეგრელო - ზ/ს	2	16
7.	აჭარა	2	16
8.	მცხეთა - მთიანეთი	2	16
9.	რაჭა-ლეჩხუმი - ქ/ს	2	16
10.	აფხაზეთი	1	8
11.	სამცხე ჯავახეთი	1	8
12.	გურია	1	8
13.	ცხინვალის რეგიონი	1	8

სულ: 32 მონაწილე ; სულ: 256 მონაწილე

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს როგორც პიროვნულ, ასევე რეგიონული ნაკრები გუნდის მიერ მიღწეული სრული შედეგის და წევრ სპორტსმენთა მიერ მოპოვებული სარეიტინგო ქულების ანულირებაზე.

გენერალური მდივანი

გიორგი ათაბეგაშვილი